ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

ოთხშაბათი, 14 მაისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 497 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 85.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო. ნეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

მოწოდება.

წითელ ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობისადმი.

ძვირფასო ამხანაგებო!

წითელ ჯარის რიგებში მუშურ-გლეხურ ახალგაზრდების გაწვევა დაიწყო, გაწვევისათვის ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში სწარმოებს დაუღალავი მუშაობა.

ბურჟუაზიული კაპიტალისტური სახელმწიფოები გულის ფანცქალით შესცქერიან ამ საქმეს. საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება მორიგ გაწვევაში—აი მათი მიზანი. კარგათ იციან ჩვენმა მოსისხლე მტრებმა—ბურჟუა მემამულეებმა, რომ წითელი ჯარი უმთავრესი ძალაა, რომელსაც ეყრდნობა მუშებისა და გლეხების ბატონობა. მთელი წლების განმავლობაში ევროპის რეაქციონური ქვეყნები აწყობდნენ საბჭოთა რესპუბლიკების წინაალმდეგ შეიარაღებულ გამოსვლებს. იარაღით ხელში გამოყავდათ ყოფილი თავადი, კონტრ-რევოლიუციონური აფიცრობა და სხვა. ეს იყო გაშმაგებული ინტერვენციების დროს. მაგრამ სახელოვანმა ძლევამოსილმა წითელმა ჯარმა, მუშებისა და გლეხების სამხედრო ძალამ ღირსეული პასუხი გასცა პროლეტარული რევოლიუციის ჯალათებს, მოსპო და გაანადგურა ანტანტის ბურჟუაზიის დაქირავებული აგენტები—დენიკინ, კოლჩაკ ვრანგელები. ევროპისა და რუსეთის კაპიტალისტებს ახსოვთ ეს მწარე ამბავი, წითელი ჯარის სასტიკი გაკვეთილი.

ჩვენი შინაური მტრები ყოველგვარ ღონისძიებას, ხრიკებსა და საშუალებებს ხმარობენ ჯარში გაწვევის კამპანიის ჩასაშლელად. მაგრამ ამაოთ. გასულ წლების გაწვევებმა დაუმტკიცა მთელ ქვეყანას, რომ მშრომელ მასის ნორჩი ძალები, ახალგაზრდა მუშები და გლეხები დიდი ხალისით მიეშურებიან წითელ ჯარის მწკრივებისაკენ.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში შეგნებული მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა გაურბის სამხედრო მოვალეობას. ეს ხდება იმიტომ, რომ კაპიტალიზმის სამეფოებში მთავრობისა და მშრომელი მასის ინტერესები ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ბურჟუაზია სცდილობს მშრომელი ჯარისკაცი საკუთარ მიზნებისათვის გამოიყენოს.

საბჭოთა რესპუბლიკებში მშრომელი ხალხის მხრით წითელ-არმიელებისადმი გულგრილობას არა აქვს ადგილი. რატომ ხდება ასე. იმიტომ, რომ საბჭოთა ქვეყნებში ხელისუფლებასა და მშრომელი მასის შორის არსებობს ინტერესთა სრული თანხმობა, მიზანთა ერთიანობა, საბჭოთა ხელისუფლება მუშებისა და გლეხების ხელისუფლებაა, ხოლო წითელი ჯარი—იგივე მუშების და გლეხების შეიარაღებული ძალაა.

მეფის და მენშევიკების მთავრობის აზრით ჯარი იყო ბრმა იარაღი, უბრალო საშუალება, „ზარბაზანის ხორცი“ გაბატონებულ კლასების ხელში. ჯარის კაცს სრულუფლებიან მოქალაქეთ არ სთვლიდნენ, კიდევ მეტი... ძაღლს უთანაბრებდნენ. მენშევიკებმა ჯარის მდგომარეობა უფრო გაამწვავეს, გააუარესეს. ჯარი „სახალხო გვარდიას“ დიაპირისპირეს. გვარდიელს ეცვა-ეხურა, ათასგვარი უფლებები ენიჭებოდა. ჯარი კი მოკლებული იყო ყოველივე ამას. მხოლოდ კომუნისტური პარტიის ენერგიული ზომებით ძირშუდიანათ მოისპო ძველი მდგომარეობა. საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა მთლიანი ჯარი—წითელი არმია.

თანამედროვე წითელი არმიელი ძველი, მენშევიკური დროის ჯარის კაცი როდია. მან იცის რა გააკეთა, რას აკეთებს და რა უნდა გააკეთოს ახლო მომავალში. წითელი არმია შეგნებულ, კლასიური, მუშურ-გლეხური ინტერესებით გამსჭვალული სამხედრო ორგანიზაციაა. იგი ერთგული დარაჯია მშრომელი მასის პოლიტიკური ბატონობის, საბჭოთა წყობილების ციხე—სიმაგრის. წითელი არმია საბჭოთა მთავრობის, მუშებისა და გლეხების სიამაყეა.

წითელი ყაზარმა ნამდვილი სკოლაა, იქ იზრდება ახალგაზრდა არმიელი ფიზიკურად, ვითარდება გონებრივად, სპეტაკდება ზნეობრივად

ახალგაზრდა ამხანაგებო, გახსოვდეთ ლენინის ანდერძი: **წითელი არმია მუშებისა და გლეხების შეიარაღებული კავშირია.** მოგიწოდებთ ამ კავშირის გაძლიერებასა და განმტკიცებისაკენ. საქართველოს წითელი ლაშქარი საერთაშორისო პროლეტარიატის ერთი პატარა რაზმია. მან უნდა გასწიოს ღირსეული ბრძოლა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ჯარს.

ჩვენი სალამი წითელ არმიის რიგებისაკენ მიმავალ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას.

ს. კ. პ. ცეკას მდივანი: **კახიანი.**

ს. კ. პ. ცეკას საავიტ. საპროპაგ. გან. გამგე: **ვლ. ბახტაძე.**

რადიო-დეპეშები

პუანკარეს ადგილას ასახელებენ ბრიანის და ერიოს კანდიდატურას.

— ბელგიის მინისტრი გიმანსი და მუსოლინი 17 მაისს შეხვდებიან ერთმანეთს მილანში.

— რურში მდგომარეობა უცვლელია.

— არჩევნების დროს ტოკიოში მოხდა არეულობა. მოკლულია 10 კაცი, დაჭრილია 100. დაპატიმრებულია 800 ამრჩეველი.

— გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წლიური კრება მოწვეულია თერთმეტ ივნისში.

— დაბეჯითებით ამბობენ მარქსის კაბინეთის გადადგომას.

— კონსტანტინოპოლიდან გარბიან უცხოელები.

საბჭოთა კავშირი.

ამხ. რიკოვის მოხსენება.

ჩვენ არ დავემორჩილებით ინგლისის ბანკირებს.

ბაუმანოვის რაიონის პარტ-კონფერენციაზე ამხ. რიკოვმა მოხსენება გააკეთა რ. კ. პ. ც. კ. მუშაობის შესახებ. ინგლის-საბჭოთა კონფერენციის შესახებ მან განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა—ეს მე-2 ინტერნაციონალის მთავრობაა, რომლის წყალობით ბურჟუაზია ცდილობს თავის ბატონობის გამაგრებას და მუშების დამორჩილებას.

მაგრამ ინგლისის მუშები „კერენშჩინით“ მივლიან ლენინის ტაქტიკამდე. ინგლისთან მოლაპარაკებას მნიშვნელობა აქვს, რომ შესაძლებელი გახდეს სესხის მიღება ჩვენი მეურნეობის აღსადგენად. ინგლისის ბანკირებმა ისეთი მოლაპარაკების პროგრამა წამოაყენეს, რაიც უდრის საბჭოთა წყსწყობილების უარის ყოფას. ჩვენ ვარჩევთ სულ შევსწყვიტოთ მოლაპარაკება, ვინემ ბანკირების პროგრამას მივიღებდეთ.

ბერლინში მომხდარ ინციდენტის გამო საპროტესტო დემონსტრაციები მოსკოვში.

12 მაისს კვირას მოსკოვში გაიმართა შვიდასი ათასიანი საპროტესტო დემონსტრაცია, ბერლინში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე გერმანიის პოლიციის თავდასხმის გამო. დემონსტრაცია მოხდა შემდეგი ლოზუნგების ქვეშ: „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს ვერ შეაშინებთ ტყვიებით, თავდასხმებით და ულტიმატუმებით! ვაიძულებთ შტრეზემანს პატივით მოეპყრას საბჭოთა მთავრობას! ძირს მსოფლიო ფაშიზმი! ახკომკავშირი პროტესტს აცხადებს ბერლინში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის გამო, მაგრამ თოფი ხელში!“ წითელ მოედანზე დემონსტრანტებს ესალმება ამხ. ამხ. სემაშკო, ენუქიძე, მელნიჩანსკი, პავლოვიჩი და სხვები. მოსკოვის საბჭოს შენობასთან მოსკოვის საბჭოს წევრები, კომინტერნის შენობიდან გერმანიის კომპარტიის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. დემონსტრანტების რიგებში გაისმოდა: „გვაძლევ (Даешь) ბერლინს, გვაძლევ საბჭოთა გერმანიას! გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატს.“ ლეონტიევის შესხვევი, სადაც მოთავსებულია გერმანეთის წარმომადგენლობა, დემონსტრანტებში გამოწვეულ მღელვარების გამო დაცული იყო მილიციის გაძლიერებული რაზმით.

ამხ. ვოროვსკის ძეგლის გახსნა.

ამხ. ვოროვსკის ძეგლის გახსნაზე, რომელიც შესდგა კვირას ამხ. ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ ვოროვსკისადმი მოხვედრილი ტყვია დამიზნებული იყო საბჭოთა რუსეთის გულში და კერზონის ულტიმატუმთან ერთად ამჟღავნებს საერთაშორისო ბურჟუაზიის ღვარძლს ჩვენდამი, რომლებმაც დიდი დამარცხება იგემეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ბლოკადით. საბჭოთა რესპუბლიკებმა ღირსეულად მოიგერიეს თავდასხმები, რამაც უფრო განგვამტკიცა. ინგლისმა გვიცნო ჩვენ, მთელი რიგი სხვა ქვეყნებისა მიყვა მის მაგა-

ნაციონალურ ბლოკის დამარცხება.

საფრანგეთის პარლამენტის არჩევნები დასასრულს უახლოვდება. ორ-სამ დღეში გამოირკვევა ახალი პარლამენტის შემადგენლობა. მაგრამ დღევანდელი ცნობებიც ნათლად ლაპარაკობენ, რომ პუანკარე—მილიერანის, ნაციონალური ბლოკის პოლიტიკა გაკოტრდა, მან არჩევნებში დამარცხება იგემა

არჩევნების ასეთი დასასრული მოსალოდნელი იყო. ნაციონალურ ბლოკმა საფრანგეთი უფსკრულამდე მიიყვანა. მან გაართულა შინაური და საგარეო მდგომარეობა. ნაციონალურ ბლოკის წყალობით საფრანგეთი გარიყული დარჩა. ამომრჩევლებმა უნდობლობა გამოუცხადეს პუანკარე—მილიერანს. ისინი მარცხნივ გადაიხარენ.

არჩევნებიდან გამარჯვებული გამოვიდენ რადიკალები.

მემარცხენე ელემენტები, მემარცხენე რესპუბლიკანელებიდან დაწყებული—გაერთიანებულ სოციალისტებამდე, პარლამენტში დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ. ცხადია, რომ ყველა მემარცხენე პარტიები ნაციონალურ ბლოკის წინაალმდეგ წავლენ და ჩამოაგდებენ პუანკარეს მთავრობას.

მემარცხენე გაზეთები უკვე ხმას იმაღლებენ ნაციონალურ ბლოკის წინააღმდეგ, „ერნუველი“ სწერს: „ნაციონალურმა ბლოკმა დამარცხება იგემა. არამზადებს, რომლებსაც სურდათ საფრანგეთის დაღუპვა, თავისი ადგილი მიუჩინეს. ეხლა პუანკარე მისცემს თავის თავს ანგარიშს. მან უნდა იმუშაოს მემარცხენეებთან, მემარცხენეებს კი სურთ მშვიდობიანობა“. მეორე გაზეთი უფრო გაბედულად გამოდის და აცხადებს, რომ დროა უკვე პუანკარე-მილიერანის წასვლის. პუანკარეს მაგივრად, პრემიერის კანდიდატებად ბრიანს მემარცხენე ბლოკის მეთაურს და რადიკალს ერიოს ასახელებენ.

შესაძლებელია, რომ მართლაც ან ერთი ან მეორე მოექცეს საფრანგეთის მთავრობას სათავეში.

როგორი ცვლილებებია მოსალოდნელი საფრანგეთის პოლიტიკაში მემარცხენეების გამარჯვების გამო?

მემარცხენეებიც იმპერიალისტები არიან. მაგრამ უფრო ზომიერი. ცხადია, რომ ცოტათ თუ ბევრათ საფრანგეთის ეხლანდელი პოლიტიკა შეიცვლება. გერმანიაში დიდი კმაყოფილებით შეხვდენ მემარცხენეების გამარჯვებას. ლოიდ-ჯორჯი დიდ იმედებით შეყურებს საფრანგეთის არჩევნებს და აცხადებს, რომ საფრანგეთის არჩევნების შედეგებზე ბევრადაა დამოკიდებული მშვიდობიანობის დამყარებაო. ასე დიდ იმედების დამყარება მემარცხენეებზე არ შეიძლება. მაგრამ პუანკარეს წასვლით სახელმწიფოს მართვა გამგეობის სათავედან, საფრანგეთის პოლიტიკა მარცხნივ გადაიხრება.

საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულება შეიცვლება.

ლაპარაკი მხოლოდ საარჩევნო ხრიკები იყო. მომავალი რადიკალური მთავრობის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან უფრო მშვიდობიანი იქნება. შეიძლება კიდეც იცნოს მან საბჭოთა კავშირი. გონიერება მოითხოვს ამას საფრანგეთისაგან. ვნახოთ როგორ წაიყვანს საფრანგეთის პოლიტიკას „მემარცხენე ბლოკი“.

ლით. დღევანდელი ძეგლის გახსნა პროლეტარული რესპუბლიკების ერთ უნიჭიერეს წარმომადგენლისადმი მოწმობს ამ რესპუბლიკების ძლევამოსილებას, და ნათლად მეტყველებს იმ დღის მოახლოვების შესახებ, როდესაც გუშინდელი მუშა გადაიქცევა მთელი ქვეყნის მპყრობელად.

ამხ. ჩიჩერინი.

ამხ. ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ ამხ. ვოროვსკი რესპუბლიკის ერთ ერთი ბრწყინვალე მარქსისტი მწერალი იყო და ამავე დროს ერთი საუკეთესო დიპლომატიც—სრულუფლებიანი წარმომადგენელი. მისი ძეგლი საუკუნო სახსოვარი იქნება ჩვენი მებრძოლი დიპლომატიის, რომელიც ყოველთვის ერთგული დარაჯი იქნება თავისი ღირსეული ცოდნის და თვის პოსტზე გმირულად დაღუპულ ამხ. ვოროვსკის საქმის ღირსეული გამგრძელებელი.

ამხ. რადეკი.

ამხ. რადეკი ამბობს: ამხ. ვოროვსკი დაეცა დავის პოსტზე არა როგორც დიპლომატი, რაც ეწინააღმდეგება დიპლომატიის ზნე ჩვეულებებს, არამედ როგორც რევოლიუციონერი - რევოლიუციონური ქვეყნის წამრომადგენელი, დაიღუპა საბჭოთა ქვეყნების ცნობისათვის, საბჭოთა რუსეთის ძალების ცნობისთვის.

გადადის რა ბერლინში მომხდარ ამბებზე ამხ. რადეკი აღნიშნავს, რომ გერმანია წარმოადგენს რა კაპიტალისტურ სახელმწიფოების პოლიტიკის ობიექტს, არ შეუძლია წაუყენოს ვინმეს ულტიმატუმი კერზონის მზგავსად. ჩვენ გვსურდა გერმანიასთან შეთანხმებული მუშაობა, რომ მეგობრული დამოკიდებულებით გერმანიის ხალხთან გავემტკიცებია გერმანია და ჩვენი თავის მდგომარეობა. მაგრამ საბჭოთა რუსეთს არ ესაჭიროება თხოვნა, რომ მას პატივს სცემდენ და აფასებდენ. ის უცდის, რომ გერმანიის ხალხი მოახსენებს თავის მთავრობას, თუ რა უნდა აკეთოს მან. თუ ეს არ მოხდა, მაშინ მიუხედავად ულტიმატუმებისა, არ გავექცევით საქმის გამწვავებასაც.

ამხ. კრასინი.

ამხ. კრასინი მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ამხ. ლენინი ამხ. ვოროვსკის აზრს და როგორ აფასებდა ის მას როგორც შესანიშნავ პარტიულ მუშაკს. ამხ. ვოროვსკი ერთი დიდად განათლებულ მარქსისტი და წმინდა სულის პატრონი ადამიანი იყო.

ამხ. ლოზოვსკი.

კომინტერნის სახელით ამხ. ლოზოვსკი აღნიშნავს, რომ ამხ. ვოროვსკი იმიტომ დაეცა თავის პოსტზე, რომ მშრომელთა ნების გამომსახველი იყო. „მაგრამ ყოველთვის დანაკლის ამოაგლეჯს ჩვენი გულიდან ცოცხალს ნაფლეთს, ჩვენ უფრო ვანმტკიცებთ რიგებს და მივემართებით წინ მიზნისაკენ.

იტალიელი კომუნისტი

ამხ. ტერაჩინი იტალიის სახელით აღნიშნავს, რომ იტალიის პროლეტარიატი ისე უყურებს ვოროვსკის დაკარგვას, როგორც თავის საკუთარ დანაკლისს.

სიტყვების დამთავრების შემდეგ ძეგლის გვერდით ჩაიარა მრავალრიცხოვანმა დემონსტრაციამ პლაკატებით და საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ გამოსვლის მოწოდებით.

ჩვენ და ისინი.

ბერლინში მომხდარ ინციდენტის გარშემო.

11 მაისს შტრეზემანმა მიიწვია ს. ს. ს. რ. რწმუნებული ბროდოვსკი მომხდარ ინციდენტის გამოსარკვევად.

ცდილობენ ბრალდების თავიდან აშორებას.

ოფიციალური ორგანო „ფოსიშე ცაიტუნგი“ სწერს: „საბჭოთა მთავრობამ უნდა მიიღოს რწმუნება, რომ ბერლინის პოლიციის გამოსვლა მოხდა საგარეო მინისტრის გაუგებლად.

გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა მომხდარი ინციდენტი გასარჩევად გადაეცათ სამედიატორო სასამართლოსათვის: აგრეთვე გაზეთი ხაზს უსვამს რომ შესაძლებელია საბჭოთა და გერმანიის დიპლომატიის შორის უთანხმოება მოხდეს, მაგრამ საბჭოთა და გერმანიის ხალხი კი ილტვის მეგობრულ კავშირის დასამყარებლად ერთმანეთ შორის.

ინციდენტის გამოძახილი.

ლეიპციგში და იენეში მოხდა მასიური საპროტესტო კრებები სავაჭრო წარმომადგენლობაზე პოლიციის თავდასხმის გამო. ორატორები აღნიშნავდენ, რომ რუსეთის პურის შემოუტანლობა გერმანიაში უქადის მუშებს შიმშილობას.

ოსმალეთი და ს.ს.ს.რ.

უცხოელები გარბიან კონსტანტინოპოლიდან.

კონსტანტინოპოლიდან ჩამოსული ოდესაში მეზღვაურები იუწყებიან, რომ ყველა რუსი მეზღვაურები, რომელთაც სურდათ სამშობლოში წამოსვლა, დაუყონებლივ იქნა გადმოგზავნილი ნოვოროსიაში. მთავრობის განკარგულებით ყველა ოსმალეთის ფაბრიკა-ქარხნებიდან ითხოვენ სამსახურიდან უცხოელ ინჟინრებს და მოსამსახურეებს და მათ მაგივრად იღებენ ოსმალოებს. უცხოელები სტოვებენ ქალაქს.

პოლონეთი და ს.ს.ს.რ.

ს.ს.ს.რ. და პოლონეთის საზღვრებზე გახშირებულ აჯანყებების გამო, პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გასცა ბრძანება ამ რაიონებში გაჩეხონ ტყეები, გააძლიერონ საზღვარზე მდგომი რაზმები და აკრძალონ ამ ადგილებში პურის თესვა.

არ გამოდგა მართალი.

ოფიციალურად იუწყებიან 100 კაცის დაჭერას, რომელთაც ბრალი ედებად ვოლინის ტერორისტულ ორგანიზაციის წევრობაში. პოლონეთის პრესამ ხმები გაავრცელა, თითქო ორგანიზაციის ინიციატორები ყოფილიყვნენ საბჭოთა წრეები ტიუტიუნიკთან ერთად.

იაპონია და ს. ს. ს. რ.

შრომის ფედერაციის დეპეშა.

იაპონიის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ—სუზუკიმ ამხ. რიკოვს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც სთხოვს მას გადასცეს საბჭოთა მუშებს თავის მწუხარება და აღშფოთება იმის გამო, რომ ს.ს.ს.რ. დახმარებამ მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მუშებისადმი ვერ მიაღწია მიზანს იაპონიის რეაქციონურ და მილიტარისტულ მთავრობის მოქმედების გამო.

იაპონიის მუშების სახელით სუზუკი გულწრფელ მადლობას სწირავს. მეორე დეპეშაში უცხადებს მწუხარებას ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო საერთაშორისო პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის დიდი მებრძოლის და პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს დამაარსებელის.

კაპიტალისტურ ქვეყნებში

პარლამენტის არჩევნები საფრანგეთში.

უკანასკნელი ცნობების თანახმად საფრანგეთის პარლამენტში არჩეულია 524 დეპუტატი. ნაციონალისტთა ბლოკმა მიიღო 129 მანდატი, მათგან კონსერვატორებმა 11, რესპუბლიკანელებმა 118 მემარცხენე რესპუბლიკანელებმა, რომლებიც მხარს უჭერენ პუანკარეს მიიღეს 82 მანდატი, ხოლო დამოუკიდებელ რადიკალებმა 33. მემარცხენე ბლოკმა მიიღო 254 მანდატი, მათშორის რადიკალ სოციალისტებმა 124, სოციალისტ რესპუბლიკანელებმა 39.

სოციალისტებმა—91, კომუნისტებმა ფსისარის ჯგუფთან ერთად მიიღეს 26 მანდატი, რომელთა შორის არიან მარტი, ბერტონი, რენო და კაშენი.

დამარცხდენ: მონარქისტები – ლეონდოდე და უკიდურესი მემარჯვენეები—ტარდე და გენერალი კასტელნო.

გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტიის ყრილობა.

„ფორვერტსის“ ცნობით სოციალდემოკრატიული პარტიის აღმასრულებულ კომიტეტს განზრახვა აქვს 11 ივნისისათვის მოიწვიოს პარტიის წლიური ყრილობა.

გერმანიის პრესა რეფერენდუმის შესახებ.

„ფოსვერსტის“ ფიქრობს, რომ სოციალ-დემოკრატების წინადადება რეფერენდუმის შესახებ, გაადვილებს სარეპარაციო საკითხების მოგვარებას.

„კრეიცეიტუნგი“ აღნიშნავს, რომ რეფერენდუმი იქნება პოლიტიკური სისულელე და საუკეთესო სამსახურს გაუწევს პუანკარეს ინტერესებს.

შეჯახებანი იაპონიაში მომხდარ არჩევნების დროს.

ტოკიოდან მიღებულ ცნობების თანახმად იქ მომხდარ არჩევნების დროს არეულობაში მოკლულია 10 კაცი და 100 დაჭრილი.

დაპატიმრებული იქნა 800 ამომრჩეველი. არჩევნების შედეგები ნათლად ამტკიცებენ, რომ არსებული მთავრობა უმცირესობაში დარჩება.

ოსმალეთის სამხედრო მისიის გამგზავრების გამო პოლონეთში.

„ენიგიუნის“ თანამშრომელთან საუბრის დროს, სამხედრო მისიის უფროსმა, რომელიც მიემგზავრება პოლონეთში, ინსპექტორ ნადჟი-ფაშამ განაცხადა:

„პოლონეთის არმია საუკეთესოდ ითვლება, მან გამოიყენა საფრანგეთის სამხედრო ხელოვნება, და პოლონეთის ოფიცრების ცოდნა, რომლებიც იმყოფებოდენ გერმანიის, ავსტრიის და რუსეთის არმიებში. პოლონელები სცდილობენ მთლიანად გამოიყენონ ევროპის სამხედრო ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევები. ჩვენი პოლონეთში გამგზავრება ატარებს, მხოლოდ პროფესიონალურ-მეცნიერულ ხასიათს. მისია გაემგზავრება მაისის ბოლო რიცხვებში და დაჰყოფს უცხოეთში რამოდენიმე თვეს.

გერმანიის პოლიტიკური პარტიები.

გერმანიის რეიხსტაგის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 25 პარტიაზე მეტმა. ეს რაოდენობა არაჩვეულებრივია. მაგრამ ასეთი მდგომარეობა სავსებით გამოხატავს გერმანიის დღევანდელ მდგომარეობას.

ჩვენ დავახასიათებთ მხოლოდ უმთავრეს პარტიებს.

გერმანიის „ნაციონალური სახალხო პარტია.

ეს პარტია მონარქისტულია. ის ეყრდნობა მსხვილ მემამულეებს, და აგრეთვე გაღატაკებულ საშუალო ჩინოვნიკებს, ხელოსნებს და ვაჭრობას. ნაციონალისტურ პარტიიდან უკანასკნელად მრავალი ფაშისტური პარტიები გამოვიდენ. ეს ფაშისტური ორგანიზაციები მრავალნაირია და განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებენ ურთიერთ შორის. ნაციონალურ სახალხო პარტიის მისწრაფებაა მონარქიის აღდგენა, რვა საათის სამუშაო დღის გაუქმება, ვერსალის ხელშეკრულების გაუქმება. ის წინააღმდეგია საფრანგეთთან შეთანხმების და სარევანშო ომის იდეას იცავს.

ეხლანდელ არჩევნებში ნაციონალისტებს გამარჯვება ხვდათ წილად. წინა არჩევნებში მან მიიღო 3 მილ. ნახ. ხმა და 66 მანდატი, დღეს— 5 მილ. ნახევარზე მეტი და 96 მანდატი.

გერმანიის სახალხო პარტია.

ეს განსვენებულ სტინესის, მსხვილი სამრეწველო კაპიტალის პარტიაა. რომელიც თავის ინტერესების სასარგებლოდ დადგა რესპუბლიკანურ პლატფორმაზე. უკანასკნელ ხანებში სახალხო პარტიაში თავი იჩინა წინააღმდეგობამ მსხვილ და მსუბუქ ინდუსტრიის შორის.

სახალხო პარტიის ბელადი დღეს შტრეზემანია. თუმც ბევრი ეცადა შტრეზემანმა, რომელიც გამოხატავს მსუბუქ დამმუშავებელ ინდუსტრიის ინტერესებს, შეთანხმებოდა მძიმე ინდუსტრიის პარტიის უკანასკნელ კონგრესზე, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სტინესის ჯგუფმა დაარსა ე. წ. ნაციონალ-ლიბერალური პარტია. შტრეზემანმა ძალიან კარგად იცოდა, რომ მძიმე ინდუსტრიის გასვლა პარტიიდან დიდი დასუსტება იყო პარტიის, უმთავრესად მატერიალურად. ამისათვის ის ცდილობდა შეთანხმებას. მაგრამ განხეთქილებამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ნაციონალ-ლიბერალები არჩევნებში რამოდენიმე ალაგს დამოუკიდებლად გამოდიოდენ. წინა პარლამენტში სახალხო პარტიის ქონდა 62 ადგილი, დღეს—45.

ცენტრის პარტია.

ეს პარტია არ წარმოადგენს ერთ რომელიმე მთლიან კლასს. იქ თავმოყრილია ყველა ჯურის ელემენტები. ამ პარტიაში შეხვდებით გლეხურ კავშირებს, ჩინოვნიკებს, ჩამორჩენილ მუშებს, მაღალ და დაბალ სამღვდელოების წარმომადგენელთ, აგრეთვე მძიმე ინდუსტრიის წარმომადგენელს, მსხვილ ბირჟევიკებს და მონათლულ ებრაელებს. არ არის გასაკვირი, რომ ასეთ შემადგენლობის პარტია მუდამ რყევაშია. ცენტრის პარტიას მიცემული აქვს სარწმუნოებრივი ელფერი. არა კათოლიკს ამ პარტიაში არ შეუძლია დარჩეს. ამისათვის ცენტრის პარტიას ეძახიან აგრეთვე კათოლიკურ ცენტრს. გერმანიის ეხლანდელი რეიხსკანცლერი მარქსი ცენტრის პარტიის ლიდერია. ცენტრის პარტიამ ახალ არჩევნებში დაკარგა 7 ხმა, წინად ჰქონდა 69 ადგილი, ეხლა 62.

დემოკრატიული პარტია.

უმთავრესად ემყარება სავაჭრო და საბირჟო კაპიტალს, აგრეთვე ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც ნოემბრის რევოლიუციის გავლენით რესპუბლიკანელები გახდენ. დემოკრატიულ პარტიას დღეს არა ჰყავს ძლიერი და გონიერი ხელმძღვანელი. პარტიის ბელადი, დიდი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე გერმანიაში, რადენაუ 1922 წელს ნაციონალისტურ ფანატიკის ტყვიის მსხვერპლი შეიქნა. როგორც სხვა ზომიერი პარტიები, დემოკრატიული პარტიაც დამარცხებული გამოვიდა არჩევნებიდან. წინა რეიხსტაგში მათ ქონდათ 45 ადგილი, დღეს კი 25 მანდატი მიიღეს.

ტევტონური პარტია (ფაშისტები).

ამ პარტიას დიდი ხნის ისტორია არ აქვს. ის აღმოცენდა უკანასკნელ წლებში, გაძლიერდა გერმანიის პროლეტარიატის ოქტომბერ ნოემბრის დამარცხების შემდეგ. ეს პარტია აერთიანებს ყველა უკმაყოფილო ელემენტებს, რომლებსაც არაფერი მისცა რევოლიუციამ და რესპუბლიკამ. დევტინური პარტიის უმთავრესი წყარო წვრილი გაღატაკებული ბურჟუაზიაა. ტევტონურ-ფაშისტური პარტია მონარქისტულია, ის მოითხოვს ვერსალის ხელშეკრულების გაუქმებას, და ომის დაწყებას საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამ პარტიის მეთაურები არიან ლიუდენდორფ-გიტლერ. ტევტონური პარტიამ ახალ არჩევნებში მიიღო 35 მანდატი.

სოციალ-დემოკრატია.

ეხლა უკვე გამოვიდა არჩევნებში, როგორც ერთ-ერთი კონსერვატიული პარტია, რომელიც ჩაკიდებია რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობას. სოციალ-დემოკრატია უკვე დიდი ხანია არ არის პროლეტარიატის პარტია. ის წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიას წარმოადგენს. მძიმე ინდუსტრიაში და საერთოდ მრეწველობაში მყოფი კვალიფიკაციური პროლეტარიატი მოშორდა მას. და თუ ჯერ კიდევ მიყვებათ სოციალ-დემოკრატებს მუშების ნაწილი, ეს არის პარტიაში არსებულ „მემარცხენე“ მიმართულების გავლენით, რომელსაც მეთაურობს ყოფილი კომუნისტი ლევი.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებმა, და ლედებურის ჯგუფმა „სოციალისტურ კავშირმა“.

სოციალ-დემოკრატიამ დაკარგა ოთხ ნახევარ მილიონი ხმა. ეს ის მუშებია, რომლებმაც კომუნისტურ პარტიას მისცეს ხმა.

გერმანიის კომუნისტურ პარტიას მკითხველები საკმაოდ იცნობენ. დანარჩენი პარტიები არ თამაშობენ თითქმის არავითარ როლს.

ზეფირ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი 10 მაისს.

(შთაბეჭდილებანი)

10 მაისს, შაბათს, ნაშუადღევის პირველ საათიდან ყველა ქარხნებში და დაწესებულებებში შესწყდა მუშაობა და გამოეფინენ მუშები ქუჩაში; რაზმი-რაზმს მისდევდა რუსთაველის პროსპექტზე, ქალაქის ყოველ კუთხიდან.

დემონსტრაციას მრისხანე ხას. აქვს.

წითელ დროშების ტევრ ტყეებს კოცნის მაისის ატლას ლოყება მზე და გაისმის მუსიკა.

ბრძოლებში გამობრძმედილი მუშები, მუშა-ქალები და ნაწილი წითელი ჯარისა, რკინის მუშტს ათამაშებენ მაღლა და, უთვლიან მუქარას გერმანიის ფაშიზმს, სოციალ-გამყიდველთა მთავრობას.

წინ მოაქვთ გერმანიის მუშების მიერ თბილისის პროლეტარიატისათვის მოძღვნილ დროშა.

აუარებელი პლაკატები სხვა და წარწერებით: რისხვა ფაშისტებს და ძმური ხელი გერმანიის მუშებს; შორს ჩვენგან გერმანიის კაპიტალისტების შავი ხელები, თორემ ვანანებთ; ჩვენ ვიცავთ მშვიდობიანობას, მაგრამ ბრძოლად მზათა ვართ...

ასეთია სურათები ამ დღეს, რომელიც გამოწვეულია გერმანიის მთავრობის მიერ საერთაშორისო უფლებების დარღვევით, ჩვენი სრულუფლებიან წარმომადგენლობის შეურაცყოფა.

დემონსტრაცია მიმდინარეობს დიდის თავდაჭერილობით, მიუხედავად მუშების აღელვებისა.

დემონსტრაციას ემატებიან წითელი სტუდენტობა, მოწაფეები, სპარტაკელები. გაისმის ყიჟინა, სიმღერა. გუგუნებს რუსთაველის პროსპექტი.

მოდიან მორთული ავტომობილები რომელზედაც არიან ღორები.

სარებზე წამოუცვამთ ლუდით გაბერილი ფაშისტები: ეპერტი, შტრეზემანი და სხვა, დემონსტრანტები გაუვლიან სასახლეს, პროფკავშირთა სასახლეს და მოედინებიან გერმანიის საკონსულოსაკენ.

ასეთია თბილისი 10 მაისს.

აი როგორ უპასუხა მუშათა კლასმა გერმაიის ფაშიზმის თავხედობას.

ნონ.

ლენინის კუთხე.

ცალკე საკავშირო ასეულის ქვესადგურში და მფრინავ ფოსტაში გაიხსნა „ლენინის კუთხე“, რომელიც თავის სიმაღლეზე სდგას, კუთხე არის მორთული საუცხოვო სურათებით და ჩვენი დიდი მასწავლებელის ილიჩის სხვა და სხვა დროს გადაღებული სურათებიდან. გაკეთებულია პლაკატებიც, კუთხე მდიდარია ლენინის ნაწარმოებით აგრეთვე უნდა აღინიშნოს რომ ამხ. ნემოვი დიდ დახმარებას უწევს კუთხის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას, საჭიროა ამ დიდ შრომასთან ამხ. ნემოვმა იკისროს ისიც, რამ წითელ არმიელები როდესაც შეგროვდებიან, და დაიწყება, ხანდახან ხმა მაღალი ლაპარაკი და პაპიროსის წევა მისცეს მათ დარიგება გარეთ დერეფანში მოსწიონ პაპიროსი და კუთხეში დაიცვან სრული წესიერება. **სვირელი.**

დივლაზარეთში.

კვირას 11 მაისს საღამოს 6 საათზე ახმაურდა კლუბი. წ. არმიელები და კლუბის თანამშრომლები რთავენ კლუბს, რომ კარგათ შეხვდნენ საგანგებოთ მოწვეულ კულტ შეფს. სიხარულის ელფერმა მოიცო კლუბის დარბაზი. მოაწყვეს კლუბი როგორც საჭირო იყო. ამ დროს ჩამოკრა საათის 7-მა და გამოჩნდა ლაზარეთის კულტ-შეფი ამხ. პეტრიაშვილის ხელმძღვანელობით. შემოვიდნენ დარბაზში მიესალმენ წ. არმიელებს. აუდიტორია რომელიც გაჭედილია წ. არმიელებით, გულის ფანცქალით მოელიან ფარდის ახდას, საათის 8 აიხადა ფარდა. იქმნა დადგმული „პროლეტარი ქალი“.

შემდეგ დაიდგა კომედია, რის შემდეგ კმაყოფილი მაყურებლები ღამის 11 საათზე დაიშალენ.

ამ წარმოდგენისთვის უღრმესი მადლობა კულტ-შეფს და ვსთხოვთ კიდევ გაგვიმართონ ასეთი წარმოდგენები, ვინაიდან ლაზარეთი კრიზის განიცდის კლუბი სცენის მოყვარეების უყოლლობის გამო.

დ. ლაშისღელელი.

ქართ. ცხენ. ლეგიონში.

მიმდინარე წლის 2 მაისს შესდგა ქ. ცხენ. ლეგიონის საზეიმო სხდომა საერთაშორისო დღესასწაულის 1-ლ მაისის გამო. სხდომას ხსნის ამხ. ვახტანგაძე. დღესასწაულის შესახებ მოხსენებას აკეთებს პოლიტხელი ამხ. იოსავა, წით. მეთ. ამხ. ჭელიძე, წით. არმ. ამხ. გაგოშიძე და ტორონჯაძე, რომლებიც ფართოთ აშუქებენ დიად დღესასწაულის მნიშვნელობას. ამის შემდეგ იქმნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება 1-ლ მაისის დღესასწაულის შესახებ და გავეცანით მის დიად მნიშვნელობას, ჩვენ ქართ. ცხ. ლეგ. უფპოლიტ და წ. ა. შემადგენლობა ფხიზლად ვესალმებით ამ რევოლიუციონურ სულის კვეთებით გაჟღენთილ პროლეტარიატის დღეს 1-ლ მაისს, რომელიც ამტკიცებს მსოფლიო პროლეტარიატის რიგებს. ძირს ანტანტა და ყველა კაპიტალისტური ქვეყნები!

გაუმარჯოს საერთაშორისო დღესასწაულს 1-ლ მაისს!

ცხომელიძე.

3-მე ლეგიონის დრამწრე.

10 მაისს, ლეგიონის თეატრში ხსენებულ დრამწრემ მოაწყო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნა 2 მოქ. ტრაგედია ქორელისა და დადიანის „შურის ძიება—ანუ შვილი თუ საყვარელი“. სცენის მოყვარეებს ხსენებულ პიესაში მომზადება საკმაოდ ეტყობოდათ, ყველამ კარგათ იცოდა თავიანთი როლები და ყველანი თავის ადგილას იყვნენ.

კარგი იყო სირინოზის როლში ლორთქიფანიძის ასული, რომელმაც მართლადაც ნათლად და მკაფიოთ გადმოგვცა ტრაგიზმით აღსავსე სირინოზის მდგომარეობა. ლორთქიფანიძის ასულს აქვს ნიჭი და უნარი სცენაზე მუშაობისა და განსაკუთრებით დრამებსა და ტრაგედიებში.

კარგი იყო როსტომის როლში გრელი, მაგრამ სცენაზე პირველად გამოსვლისას, ვერ იყო სათანადო ბერის ტანისამოსში გამოხვეული, მას ნათლად მოუჩანდა ნახევარი ნაწილი ტანისამოსისა და ხმალი, რასაც ადგილი არ უნდა ქონოდა.

არა უშავდა რა ავთანდილის როლში ლ. პეტრიაშვილს, მაგრამ ცუდ ელფერს სტოვებდა მეორე მოქმედებაში, როდესაც ბორკილების მაგივრათ ხელები კუდით ჰქონდა შეკრული და ფეხები სულ თავისუფლი იყვნენ. არც ისე ძნელი საშოვნი არის ბორკილები, რომ რეჟისორს მისთვის თავის დროზედ მიექცია ყურადღება.

კარგი იყვნენ: მურმანის როლში ამხ. ჯღამაძე, მსახურისაში ტაბაშიძე და არუთინოვი.

საერთოდ პიესამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა აუდიტორიაზე და კარგი იქნება შემდეგშიდაც სადღეისოდ შექმნილი ვოდევილების მაგივრად რეჟისორი ასეთ პიესებს დაამზადებდეს.

რაც შეეხება ამხ. გრელის 1 მოქ. ვოდევილს „მდგურ“-ს, რომელიც ამ საღამოსვე იქნა წარმოდგენილი, მას დროებით ბრჩხილებში ვსვამთ, მაგრამ კარგი იქნება დრამწრის ხელმძღვანელი ამხ. გრილლი, კლუბის უფროსი ან წრეების ორგანიზატორი, შემდგში მაინც მოგვაშორებდეს თავიდან ასეთ სახელდახელო შეთხზულ ვოდევილებს და ერთი და იმავეს სცენაზე სისტემატიურად გამოტანას. ნუ თუ არ შეიძლება ერთი ისეთი საღამო მოეწყოს, სადაც ამხ. გრელლის უადგილო, შტატს გარეშე მდგომი ვოდევილები, რომლის მთავარი მომქმედი პირი უსათუოდ ყოველთვის ყობოა!

გადამეტებული არაფერი არ ვარგა.

თეატრი ხალხის აკვანია..

მრავალწერტილი.

•უუმბარა•

შავ დაფაზე.

ხშირად შეხვდები ბაზარში ჩვენს წითელ არმიელებს, უფშემადგენლობას და მოსამსახურეებს, რომელნიც ყიდიან ეხლახან მიღებულ ტანსაცმელ-ფეხსაცმელს“.

კორესპონდენციებიდან.

ო, ვინც ცუდად იყენებს
წითელ მხედრის სახელსა,
და უმგზავსად, ტანსაცმელის,
მიჰყობს გაყიდვას ხელსა.

უნდა ყველა ვამხილოთ,—
არ მივცეთ გასაქანი!
ამხანაგურ შერცხვენით
ავუტეხოთ ქაქანი!..

ასეთი საქციელის
ღალატია დაშვება;
სუყველას გვევალება—
არსაით მივსცეთ შვება!

სახაზინო ქონებას
ვინაც ჰყიდის ბაზარში.—
შავ დაფაზე გავაკრათ
თუა ვინმე, ჩვენს ჯარში!..

დაშნა.

პარტიული ცხოვრება.

ჩვენს ბატარეიაში.

7 მაის მსუბუქ საარტილერიო დივიზიონის პირველ საველე ბატარეიაში შესდგა კომუჯრედის დახურული კრება.

თავჯდომარედ არჩეული იქმნა ამხ. გიგიტაშვილი მდივნად ამხ. შალიკაშვილი.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები 1) წინა კრების ოქმის დამტკიცება 2) კოოპერაცია და მისი მნიშვნელობა 3) მოხსენება საქართველოს წ. არმიელთა მე-3-მე პარტ. კონფერენციის მუშაობის შესახებ 4) მიმდინარე კითხვები. მდივნის მიერ წაკითხული იქმნა წინა კრების ოქმი, რომელიც კრებამ დაამტკიცა უცვლელათ. კოოპერაციის შესახებ. მოხსენება გააკეთა წით. არმიელმა ამხ. ლალუაშვილმა. მან მოკლედ და მკაფიოთ გააცნო კრებას, კოოპერაციის მნიშვნელობა, როგორც ჩვენს წით. არმიაში ისე გლეხობისათვის და სასოფლო მეურნეობისათვის,

მომხსენებელმა აღნიშნა ისიც თუ როგორ დიდ როლს თამაშობს კოოპერაცია სოციალიზმის დამყარების წინასწარ პირობების შექმნაში. თანამომხსენებელათ გამოდის წით. არმიელი ამხ. დონდოსი.

მე-3-მე პარტ კონფერენციის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა პოლიტხელმა ამხ. როსნაძემ, რომელმაც დაწვრილებით გააცნო კრებას პოლიტგანყოფილების მუშაობა და ტერიტორიალური დივიზიის შედგენის შესახებ და სხვა. შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. მიმდინარე საკითხებში გაირჩია რამოდენიმე საჭირბოროტო საკითხები, რის შემდეგ კრება დაიხურა.

პარტკორი **გ. წინაწვრის-პირველი.**

დეზერტირობის მსხვერპლი.

(გაგრძელება)

—მგონია რას ქვია, ქალო, აგერ არ ჩამოვიდა „სალდათობიდან“ პავლიას ბიჭი მელიტონაი; ინჩი არ იცოდა და გუშინ კანცელარიაში გაზეთი წაგვიკითხა. იქაური ამბებიც მოგვიყვა: ბინაც კარგი გვქონდა, სასმელი-საჭმელიც, წერა-კითხვას გარდა სხვა ბევრი რამეებიც ვისწავლე, უფროსები ისე გვეპყრობიან, როგორც ძმები.

არა, გიგო, არა შენ ისე ქენი, მე რომ გითხარი: ეცადე მიხა დაარჩინო, თვარამ ის ამას ვერ გაუძლებს... გული ჩაუწყდება, შვილო, გული... და თან უფრო მაგრათ მოებჯინა ელისაბედს თვალზე ცრემლები.

—რას ქვია, ვერ გაუძლებს, ადამიანო, ეხლა უკვე შეუყვირა გიგომ, მარტო ის ხომ არ მიყავთ სალდათათ?!

დათვივით ვაჟკაცია, რა ჩაუწყვეტს გულს.

—შენ, რომ არ იცი ის...

—არა, მაინც მითხარი რა უჭირს?

—რა უნდა გითხრა, შენ თვითონ ვერ ატყობ, რომ მიხა ამ ბოლოს ძალიან გამოიცვალა: უწინდებულათ ველარ სვამს და ველარ ჭამს, ხუთი, რომ კითხო ერთ არ გიპასუხებს.

—რა ღმერთი გაუწყრა, რა აწუხებს „სალდათობისთვის“ იკლავს თავს?

„სალდათობისთვის“... სალდათობისთვის კი არა იმას თავის საკუთარი დარდები აქვს, თავის ფიქრები აწუხებს...

—რა ფიქრები, ადამიანო, გამაგებინე რაში მდგომარეობს საქმე?

ის ფიქრები შენ, რომ არ იცი... ყველა ჩვენმა მეზობლებმა კი იციან, რომ მიხას, იაგორას, გოგო ოლლა ჩავარდნია გულში; თურმე ყოველდღე ნახულობენ ერთმანეთს, გუშინ წყაროზე მარინემ მითხრა: ის გოგო, რომ მიხას არ შერთოთ, იმათი საცოდაობით თქვენ ოჯახს ხეირი არ დაეტყობა... ერთმანეთისთვის ფიცი მიუციათ თურმე.

—ჰრიხაა! ახლა ეგ გამიხადე კიდევ სადარდელათ, ფიცი კი არა ხატი მიუცია! ბოშო, არ გამოგიცდია ახალგაზრდობა, ერთი მეიხალისებს და ის იქნება.

ვინ იცის სანამდე გაგრძელდებოდა ცოლ-ქმარის ბჭობა, რომ არ მოსმოდათ ხმა:

გიგო, შინა ხარ, გიგო, ცოტა ხნით მნახე აქეთ.

—ოჯახაო მობრძანდით, ოჯახათ ბატონო ვიქტორ, გამოეხმაურა გიგო და წავიდა შესაგებებლად. ბიქტორ კვინიხიძეს ბევრი თავ-პატიჟი არ გაუდევს.

—დაბრძანდით ბატონო ვიქტორ, მოუმარჯვა სკამი ელისაბედმა.

—არა, თქვენ არ მამიკვდეთ, დასაჯდომათ არ მცალია, ცოტა სიტყვა მაქვს სათქმელი გიგოსთან.

ნააზნაურები ვიქტორ კვინიხიძე განთქმული იყო ჩვენ სოფელში, როგორც ენაწყლიანი კაცი შეყვარებულთა საქმის მომკვარახჭინებელი; წელიწადში ათი, მაინც, რომ არ დაექორწინებია არ შეიძლებოდა. რას არ მოჩმახავდა როგორი ენით არ შეაქებდა, როგორც სასიძოს ისე საძლოს; მახინჯიც, რომ ყოფილიყო გასათხოვარი, მზეთუნახავია გიმტკიცებდათ, სასიძოს კეცის ნატეხი, რომ არ ჰქონოდა სახლში ის მაინც ეფიცებოდა გასათხოვარის მშობლებს:

—გეფიცებით სინდისს, ჩემს ორ შვილს მაგისთანა პურ-მარილით სავსე ოჯახი დუნიაზე არ მოიძებნება.

სწორედ ზედგამოჭრილათ ითქმოდა ვიქტორზე: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენატკბილათ მოუბარიაო“.

მაჭანკლობის მეტი ან კი რაღა დასჩენოდა ჩვენ ვიქტორ კვინიხიძეს: მიწა-წყალი სულ ჩამოართვეს. ან რათ უნდოდა, თავის სიცოცხლეში თოხი ხელში არ აეღო; უსაქმიანობასა და ფუქსავატ ცხოვრებას მიჩვეული, ეხლა ველარ ახერხებდა პატიოსანი შრომით თავის რჩენას; არც თუ დიდი მომდურავი იყო ბიქტორი თავის ბედის:

—რა გაეწყობა, მიწები ჩამომართვეს თორემ სხვა რა მიჭირს, სხვაზე უკეთ ქე ვჭამ, სვამ, კარგი მაცვია და კარგი მახურავსო, იტყოდა ხოლმე კმაყოფილი ბიქტორი: მართლაც უნდა ითქვას, რომ ბიქტორი ამ ბოლო დროსაც გვარიანათ ცხოვრობდა: „ჯიბის ფული“ ყოველთვის ქონდა. გამოზაფხულზე ტყავებს ყიდდა და აღებული ფულით ოჯახისათვის საჭირო საგნებს მოიმარაგებდა ხოლმე. ვინ მისცა გასასყიდელი ტყავებიო? იკითხავთ. თითო საქმის გაკეთებაში ბიქტორი ღებულობდა ერთ თუმანს ფულად და გარდა ამისა თავ-ფეხს და ტყავებს, ყველა იმ ოთხფეხ საქონლისას რომელიც დაიკლოდა მის მიერ მოწყობილ ქორწინობის დროს, როგორც სასიძოს, ისე სარძლოს ოჯახში. ასეთი იყო ბიქტორის ხელობის ნიხრი.

შემოდგომაზე, რომ ბიქტორის ეზოს ახლო გაგევლოთ ცხვირზე მაგრად უნდა მოგეჭირათ ხელი, რომ არ გეგრძნოთ ბიქტორისას მოგროვებული, ჯერ კიდევ გაუმშრალი ტყავეულობის სურნილება... აბა ვისმეს გაებედა და არ მიეცა ბიქტორისათვის ტყავი: უშველებელ ჩხუბს ატეხდა, მოდგებოდა მის მიერ შეუღლებულ „მეფე დედოფალს“, რომლებიც საქმის გაკეთებამდე ცამდი აყავდა ქებით, და ახლა სულ მიწასთან გაასწორებდა.

—როგორ, შენი გაბახებული ქალი გაგისაღე და ეხლა ტყავის მოცემაც არ გინდაო?! ეჩხუბებოდა ხოლმე ბიქტორი სასძლოს მამას.

(დასასრული იქნება)

გრ. ხლავისონიშვილი.

ჩვენს ჯარში.

— სკოლები ახალწვეულთათვის ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილებამ ცირკულიარულათ მიმართა ყველა ნაწილებს, ახალწვეულთა საჭიროებისათვის მოაწყონ სკოლები და მორთონ ისინი შესაფერისად.

— მეთოდის გამომუშავება. პოლიტ-განყოფილების სასკოლო განყოფილებაში ამ ჟამად იმუშავებენ ე. წ, საექსკურსიო მეთოდს, რომელიც გამოქვეყნდება ამ დღეებში.

— სამეულები ნაწილებში. ქართულ დივიზიის ყველა ნაწილებში განზრახულია შედგენილ იქნეს სამეულები, რომლებიც დაანაწილებენ ახალწვეულებს, ჯგუფებად სამეცადინოთ.

— მასწავლებელთა კრება. ხვალ საღამოს 5 საათზე, არმიის პოლიტ-სამმართველოში შესდგება გარნიზონის სამხედრო მასწავლებელთა კრება (ჯორჯიაშვილის ქუჩაზე). დასწრება სავალდებულოა.

———

— ვირთაგვების მოსასპობად. 20 მაისიდან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგება ამბულატორიებიდან ვირთაგვების საწამლავის დარიგებას. დაწესებულებებმა უნდა მიაკითხონ ქალაქის სადეზინფექციო განყოფილებას.

— სპარტაკის მოედანი. ქალაქის აღმასკომმა ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირს გადასცა 216 მანეთი ტანთსავარჯიშო მოედანის მოსაწყობად არსენალის რაიონში.

— მეთამბაქოეთა თათბირი. 20 მაისისთვის ქალაქ თბილისში მოწვეულია თათბირი ამიერ-კავკასიის მეთამბაქოეთა მდგომარეობის გამოსარკვევად.

— ბამბის კულტურა. განზრახულია კახეთში დათესონ ბამბით 500 დესეტინა მიწა და ბორჩალოში კი 2.000 დესეტინა.

— სუფთა წყალი. წყალსადენის განყოფილებამ უკვე მიიღო 4.900 ფუთი წყლის საწმენდი აყალო, რის გამოც ქალაქი უზრუნველყოფილი იქნება სუფთა წყლით.

— წყალსადენი გარე-უბნებში. გარე-უბნებში ახლად გაყვანილმა წყალსადენმა უკვე დაიწყო მოქმედება.

— საბინაო ამხანაგობები. ამ ჟამად თბილისში მოწყობილია 8 საბინაო ამხანაგობა, რომელიც განაგებს სახელმწიფო კუთვნილების სახლებს.

— სამუშაოზე გაგზავნა. 12 მაისს შრომის ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 72 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა 148 კაცი.

შემთხვევები.

— კაცის გატაცება. 10 მაისს საღ. 11 საათზე, მოქ. აბას-ყული ისაი-ოღლის ბინაზე მივიდნენ შეიარაღებული უცნობები და საგანგებო კომისიის სახელით წაიყვანეს სტუმარი ალი ბაღიროვი. ბაღიროვი საგანგებო კომისიაში არ აღმოჩნდა

— ცეცხლი. 11 მაისს ტერ-გუკასოვის ქუჩაზე და გუნიბის შესახვევში მდებარე სახლს გაუჩნდა ცეცხლი და დაიწვა 7 ოთახი.

სასოფლო მეურნეობა.

სათიბის გაუმჯობესება.

როგორც წინა წერილში იყო აღნიშნული, სათიბი გადაგვარების გზას ადგია, თუ მას მოედვა სარეველა ბალახი, მოეკიდა ხავსი, დაეტკეპნა ნიადაგი და ჩაუდგა წყალი.

რომ სათიბი გადავარჩინოთ გადაგვარებიდან ყველა ბუჩქნარები და აფუღული მიწა უნდა მოიჭრას, ბუჩქნარები მოცილდეს სათიბს, ხოლო მოჭრილი აფუღრული ნიადაგი განთავისუფლდეს ძირებიდან და განაწილდეს სათიბზე.

გაიწმინდოს უნდა მინდორი წყლით ჩამოზვავებულ ქვებიდან და სილიდან. ქვები გაიტანეთ სათიბიდან, ხოლო სილა თანაბარათ გაანაწილეთ სათიბზე. გაწმინდეთ სათიბი ძველ თივიდან და ფიჩხიდან, დასწვით და ნაცარი მოაპნიეთ სათიბზე.

გაზაფხულზე, ოდნავ შეშრება თუ არა ნიადაგი, სათიბს გაავლეთ ხშირ კბილიანი რკინის ფოცხი, ფოცხი გამოაცლის ნიადაგს ხავს, ხავსი შეკრიფეთ, დასწვით, ნაცარი ისევ დაუბრუნეთ ნიადაგს. 2 კვირის შემდეგ, როდესაც ნიადაგი კარგათ შეშრება, ხელმეორეთ გაავლეთ სათიბს ფოცხი 4—5 ჯერ, იმდენათ რომ სათიბმა მიიღოს ნიადაგის ფერი. ამ ოპერაციით იხლიჩება ნიადაგში გადახლართული მცენარის ძირები და ნიადაგში მეტი ჰაერი ჩადის, რომელიც ძრიელ საჭიროა კულტურულ საკვებ ბალახებისათვის.

როდესაც სათიბის ნიადაგი გადახლართულია ძირებით, წყალი მეტი შრება, და ამავე ბალახების გასაზდელათ საუკეთესო პირობები შეიქნება.

დაფარცხვის დროს შეიძლება ჩაითესოს ტკბილი ბალახები: იონჯა, სამყური და სხვა.

შემოდგომაზე, ყინვების დაწყებამდე, სათიბზე უნდა გაიტანოთ სასუქი, თანაბარათ გაანაწილოთ და დასტოვებთ გაზაფხულამდე.

გაზაფხულზე, პირველ გაფოცხვით, შეკრებთ მშრალ თივას, დაწვავთ და ნაცარს ნიადაგს დაუბრუნებთ.

გამორკვეულია, რომ სამყური, იონჯა და სხვა მათ გვარი მაღალ ხარისხოვანი საკვები ბალახები ნიადაგიდან თხოულობენ დიდძალ კირს ნამეტურ დაბალ ადგილებში, სადაც ნიადაგი ძლიერ ღარიბია კირით.

საუკეთესო იქნება, თუ დესეტინა სათიბს მოაყრით 50-70 ფუთ ნაცარს, რომელშიაც კირი 40 პროც. მოიპოვება. გარდა კირისა ნაცარში კიდევ ბევრი სხვა მინერალური ნივთიერება მოიპოვება, მაგალითად, კალი, მაგნეზია, ფოსფორი და სხვა, რომელიც ძრიელ სასარგებლოა ნიადაგის გასანაყოფიერებლად.

სათიბი, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ სათანადოთ დამუშავდება და დაუბრუნდება ნაყოფიერება, წელიწადში იძლევა 200-250 ფუთ მაღალ ხარისხოვან თივას.

მაგრამ თუ წესიერად არ ისარგებლეთ სათიბით, ბევრ და კარგ თივას ვერ მიიღებთ. ბეჯითად გახსოვდეთ სათიბის სარგებლობის წესი:

არ აძოვოთ საქონელი ადრე გაზაფხულზე და გათიბვისთანავე. გაზაფხულზე ძოვა ყოვლად დაუშვებელია, გათიბვის შემდეგ უნდა დაიცადოთ 2-3 კვირა.

დაუშვებელია საქონლის ძოვა წვიმიან დღეში, რადგან საქონელი სველ ნიადაგზე მეტ ბალახს სთელს.

სათიბი გათიბეთ, როდესაც მცენარეების უმეტესი ნაწილი აყვავილდება; თავის დროზე გათიბული სათიბი მოგცემთ უფრო გემრიელ, რბილი და ნოყიერ თივას და შემოდგომისათვის საქონელს კარგი საძოვარი ექნება.

ზ—ლი.

ფიზიკური კულტურა.

გასულ თვეში მოსკოვში მოწვეულ იქნა საბჭოთა რესპუბლიკების ფიზიკური კულტურის საბჭოების ყრილობა. ყრილობამ განიხილა მეცნიერული, საორგანიზაციო და ტეხნიკური საკითხები. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვები წარმოსთქვეს ტროცკიმ, სტალინმა, ენუქიძემ, სემაშკომ და სხვებმა. ყრილობამ დაადგინა გასწიოს ფართო აგიტაცია—პროპაგანდა მასაში ფიზიკური კულტურის იდეების გასავრცელებლად. ამხ. ტროცკიმ განაცხადა სხვათა შორის, რომ მიმდინარე ყრილობის მნიშვნელობა სახელმწიფოსათვის უფრო დიდია, ვიდრე წითელი არმიის ორგანიზაციის, რადგან წითელი არმია რამდენიმე ხნის შემდეგ აღარ იქნება საჭირო, ხოლო ფიზიკური კულტურა კი სოციალისტურ წყობილებაშიაც კი საჭირო იქნება ხალხის კეთილდღეობისათვის.

ყრილობამ დაადგინა თითოეული რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსებულ იქნას უმაღლესი საბჭო ფიზიკური კულტურისა, რომელიც ერთგვარი კომისარიატისებური დაწესებულების ფუნქციებით იქნება აღჭურვილი. საბჭოში შედიან სხვა და სხვა კომისარიატებისაგან, პროფკავშირებისაგან, არმიისაგან და სხვა და სხვა დაწესებულებისაგან წარგზავნილი პირები და ემორჩილებიან საბჭოს.

ყრილობის მიერ არჩეული საბჭოს პრეზიდიუმმა გამოჰყო თავის წრიდან სასწავლო—სამეცნიერო და საორგანიზაციო—ტეხნიკური კომიტეტები. სამოსწავლო—სამეცნიერო კომიტეტში შედიან ექიმები, სპეციალისტები და პროფესორები. ეს კომიტეტი ცდილობს ააგოს ფიზიკური კულტურა მეცნიერულ საფუძვლებზე. ამისათვის ის აწყობს ლაბორატორიებს მოვარჯიშეთა ორგანიზმის შესასწავლად.

ორგანიზაციული ტეხნიკური კომიტეტი შეიცავს სექციებს: ფუტბოლის, მძლეოსნობის, ძალოსნობის, ცვრაობის, გიმნასტიკის და სხვა. ის აწესრიგებს ყოველ გვარ შეჯიბრებების, დღესასწაულების და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სექტემბრის შუა რიცხვებში მოსკოვში გაიმართება ყველა ს. ს. რესპუბლიკების შეჯიბრებები პირველობაზე. წინასწარ სამზადისს უკვე შეუდგა ყოველი რესპუბლიკა. ყოველ სამაზრო ქალაქში გაიმართება ადგილობრივი შეჯიბრებები, რის შემდეგ წარჩინებულ მოვარჯიშეთ რიცხვით 5 ყოველი ქალაქი გზავნის თბილისში სარესპუბლიკო შეჯიბრებებზე. რესპუბლიკის შეჯიბრებების შემდეგ ამორჩეული იქნება ჯგუფი საუკეთესო მოვარჯიშეთა ყველა რესპუბლიკების შეჯიბრებებზე წარსაგზავნად.

ქ.

ქიმიურ ომის მომავალი.

ომის საჭიროებისათვის გამოგონილი ქიმიური მრავალი ნივთიერება თუმცა ცნობილია მთელი ქვეყნისათვის, მხოლოდ მაინც დარჩა ომის შემდეგ ბევრი ისეთი ნივთიერება, რომელიც საიდუმლოებითაა მოცული. ომის შემდეგ ყველა პირველ ხარისხოვანი სახელმწიფო აწარმოებს ენერგიულ ცდებს ქიმიურ ომის ახალ საშუალებების გამონახვაში. უეჭველია გამოგონილი იქნება მრავალი ახალი აირი, მათი გაშვების ახალი მეთოდები და იქნება გამონახული მათი მოხმარების ტაქტიკური ახალი ილეთები.

წარსულ ომში აირები თუმცა არ უხმარიათ საჰაერო ფლოტიდან, მომავალში მოსალოდნელია, რომ იგი ფართე მაშტაბით იქნება გამოყენებული ამ დარგის ჯარის მიერ და მაშინ ქიმიური ნივთიერებანი იქნება საყოველთაო იარაღათ ყოველი გვარის ჯარისა.

ზოგიერთი შხამიანი აირი მცირეოდენი ნაწილით იმდენად ძლიერი და ისე ნელა ორთქლდება, რომ საკმარისად არ სქელდებიან, ღრუბლად არ იქცევა და თვალისათვის უჩინარია. მეორეს მხრივ სხვა ნივთიერებანი იძლევიან სქელ ღრუბლებს, რომელთაც შეუძლიათ დაჰფარონ შეტევა და მოწინააღმდეგეს შეუშალონ თვალთვალი. ამ გვარი აირები მოიხმარება როგორც ხმელეთზედ ისე ზღვაზედ. ამ გვარ ფარდებში თოფისა, ტყვიამფრქვევის და საარტილერიო ცეცხლის სიმარჯვე მცირდება და რასაკვირველია მომავალ ბრძოლის ასპარეზზედ ხშირად იქნება გამოყენებული. რადგან კვამლის ღრუბელი შეიძლება შხამიანი ან უშხამო იყოს, აქ ქიმიის ინსტრუქტორს შეუძლია გამოიჩინოს და გაავითაროს თავისი საქმიანობა ღრუბლის შხამიანობის განსაზღვრით.

მომავალში ძნელი წარმოსადგენია ისეთი მდგომარეობა, რომელშიაც აირები და კვამლები არ იქნება მოხმარებული, ვინაიდან მათი გამომყოფი ნივთიერებანი შესაძლებელია იყვნენ როგორც მაგარ ისე სითხე ნივთიერებათ და რომელთაც უნარი ექნებათ აირად გადაქცევისა ან ჰაერში გაბნევით ავტომატიურად, ან ძლიერ ამფეთქ ნივთიერების საშუალებით, ან გათბობით. ქიმიურ მასალების ამ გვარი თვისებანი მათ მოთავსების შეძლებას იძლევიან სხვა და სხვა საარტილერიო ყუმბარებში, გრანატებში ან ბრძოლის ველზედ მოზიდულ სხვა რაიმე სატევებში.

არსებობს ერთი პირობა, რომლითაც ქიმიური ომი მეტად მძლავრ საშუალებად იქნება მომავალ ომში. აირები ისეთი იარაღია, რომლითაც მოქმედება შეიძლება როგორც დღისით ისე ღამით. ღამით პირიქით უფრო ნამდვილი საშუალებაა, რადგან ღამით ძილის დროს ვინც ვერ მოახერხა რაიმე მიზეზით ნიღაბის გაკეთება, ან დაჰკარგა, ან ძილმა წასძლია და ვერ ჩამოიცვა იგი გახდება აირის მსხვერპლად. წარსულმა ომის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ უბედური შემთხვევა მრავლად ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ჯარმა იცოდა დიდის სისწორით წამებითაც კი სააირო იერიშის დაწყების შესახებ. აირების საწინააღმდეგოთ ჩვენი წითელი ჯარი შეიარაღებულია აირის საწინააღმდეგო ნაღბებით, რომელიც საუკეთესო საშუალებით ითვლება ქიმიურ ომისათვის.

გ. ბ—შვილი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ერთ შესაძლებელ ახალ მიხწევის შესახებ რადიო ტეხნიკაში.

ჩვენი საუკუნე ათას გვარ უცნაურობათა საუკუნეა. მეოცე საუკუნეში ერთბაშათ ამოხეთქა კაცობრიობაში ასი წლობით დაგროვილმა ენერგიამ და ადამიანიც უეცრივ დადგა თავისი უდიდესი მიღწევების წინაშე. განა ჰაერის დაპყრობა, განუზომელი სივრცეების გადალახვა და სხვა ასეთები ადამიანის გონების შემოქმედებითი სიამაყე არ არის? მაგრამ ჩვენი დროის დიდი მიხწევებით მაინც არ ვკმაყოფილდებით, კიდევ გვსურს ახალი რამის აღმოჩენა. საზოგადოთ ადამიანი ძნელად კმაყოფილდება არსებულით და ეს რომ ასეც არ იყოს, რომ ადამიანს იმედი არ ჰქონდეს თავისი ცხოვრების კიდევ უფრო გაუმჯობესების, მაშინ ის თავს თუ არ მოიკლავდა ყოველ შემთხვევაში, ცხოვრება ყოველგვარ ღირებულებას დაჰკარგავდა მის თვალში. იმედიანობა მისი მომავალი ცხოვრების გაუმჯობესებაში, და ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვაში აყვარებს მას თავის არსებობას და ამ ნაირად კაცობრიობის ყოველგვარი საქმიანობა აზრიანი, ღირებული და ლამაზი ხდება. სწორედ ამიტომ სრულიად არ არის გასაკვირი, რომ ვერც ერთმა დიდმა აღმოჩენამ თუ გამოგონებამ ვერ დააკმაყოფილოს ადამიანი და მისი გონება და მისწრაფებანი კვლავ დაიბანდოს ახალი აღმოჩენებისათვის.

ამასთანავე ტეხნიკის დარგში ერთი დიდი აღმოჩენა გზას ხსნის და აადვილებს მეორეს.

ელექტრონის აღმოჩენა უდიდესი მიღწევაა ადამიანის. ელექტრონის აღმოჩენამ მრავალი კვანძები გახსნა და მით კაცობრიობა უდიდეს მიხწევების წინაშე დააყენა. ტელეფონი, ტელეგრაფი და უმავთულო ტელეგრაფი ეს ისეთი დიდი მიღწევებია, რომლებიც ნათელის სხივებით აელვარებენ კაცობრიობის არსებობის მანძილზე აღმოჩენათა ისტორიის ფურცლებს. უმავთულო ტელეგრაფის საშვალებით ადამიანმა დაიმორჩილა სივრცე და დრო. უმავთულო თუ მავთულიანი ტელეგრაფის და ტელეფონის საშვალებით ადამიანმა შესძლო დედა მიწის ერთი კუთხიდან მეორეში ბგერების მოსმენა და მრავალი სხვა,

მაგრამ ეს ცოტაა. რადიო ტეხნიკის განვითარება უფრო წინ მიდის და დიდ პერსპექტივებს შლის ჩვენს წინაშე. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ინგლ. ფიზიკის პროფესორის ფურნიე დალიბის განცხადება: მან განაცხადა, რომ ჩვენს დროს კაცობრიობა ერთ დიდსა და ახალ აღმოჩენის წინაშე იმყოფებაო. ეს აღმოჩენა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია დედამიწის ერთ დიდათ დაცილებულ კუთხეში მომხდარი მოვლენები დანახული იქნეს მეორე ადგილიდან, ისევე, როგორც ლონდონიდან ნიუ-იორკში შეიძლება ლაპარაკის მოსმენაო. ეს მართლაც უდიდესი მიღწევა იქნება, რომელიც ადამიანის თვალში მოათავსებს მთელ სამყაროს.

შეიხ.

დავკარგე ჩეკის ტალონები №№ 5, 46 და 88 რომლითაც იყო მიღებული ხორცი გთხოვთ ჩათვალოთ გაუქმებულათ. რ. საგინაშვილი.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ილ. ჩანტლაძე.